

*ბიზნეს ტერმინოლოგიის თარგმნისა და სისტემატიზაციის პრობლემა*



საქართველოს უნივერსიტეტი



*ბიზნეს ტერმინოლოგიის თარგმნისა და  
სისტემატიზაციის პრობლემა  
(თანამედროვე ინგლისური და ქართულ ენების  
კონტექსტში)*

ბაბულია ახოზაძე

სადისერტაციო ნაშრომი შესრულებულია  
საქართველოს უნივერსიტეტის  
ჰუმანიტარული სკოლის

შინაარსი

საკვლევი თემის მნიშვნელობა და აქტუალობა	2
კვლევის მიზანი და ამოცანები	3
ნაშრომის მეცნიერული სიახლე და კვლევის ძირითადი შედეგები	4
მეთოდოლოგია	5
პუბლიკაციები	6
დისერტაციის მოკლე აღწერა	6
გამოყენებული ლიტერატურა	18

## საკვლევი თემის მნიშვნელობა და აქტუალობა

დღევანდელი გლობალიზაციის პირობებში სწრაფი ტემპით ვითარდება საერთაშორისო სავაჭრო ურთიერთობები და ბიზნეს კომუნიკაცია. ამ ვითარებაში საკომუნიკაციო მედიუმის როლს ინგლისური ენა ასრულებს. ინგლისური ენიდან ქართულ ენაზე თარგმნა მრავალ გამოწვევასთან არის დაკავშირებული. დღევანდელი დაჩქარებული ცხოვრების ტემპის გამო კი საჭიროა თარგმანის ოპერატიულად შესრულება, რის გამოც განსაკუთრებული ფუნქცია შეიძინა ელექტრონულმა ლექსიკონებმა და კომპიუტერულმა თარგმანმა, მაგრამ კომპიუტერული პროგრამა ვერ ახერხებს სხვადასხვა პოლისემიური მნიშვნელობების, სინონიმური რიგების, ომონიმების, ჰიპონიმების და აგრეთვე ტერმინოლოგიური ნეოლოგიზმების დიფერენცირებას და ადეკვატური ექვივალენტის იდენტიფიცირებას. აქედან გამომდინარე, მიგვაჩნია,

რომ ტერმინოლოგიის სისტემატიზაცია და სემანტიკა და ერთგვარ სემანტიკურ დომენებში მათი დაჯგუფება საშუალებას მისცემს კომპიუტერულ მთარგმნელობით პროგრამებს და მთარგმნელებს ელექტრონული ლექსიკონებიდან სწრაფად მოახდინონ მოცემული კონტექსტის ადეკვატური ტერმინის იდენტიფიცირება და რეალიზაცია.

კვლევის მიზანი და ამოცანები

ნაშრომის მიზანს წარმოადგენს: 1. თანამედროვე ინგლისური და ქართული ენების მსგავსება- განსხვავების გამოვლენა ბიზნეს ტერმინოლოგიის ფარგლებში განხორციელებული თარგმანის ადეკვატურობისა და კომუნიკაციური ღირებულების იდენტიფიცირების გზით; 2. მრავალმდარგობრივი ბიზნეს ტერმინოლოგიის ლოგიკური სქემის კონსტრუირება მასში ინტეგრირებულ ელემენტთა

სემანტიკური მნიშვნელობების ანალიზის  
მეშვეობით.

ნაშრომის მეცნიერული სიახლე და კვლევის  
ძირითადი შედეგები

ნაშრომის მეცნიერულ სიახლეს წარმოადგენს  
თანამედროვე ინგლისური და ქართული ენების  
მსგავსება-განსხვავების გამოვლენა ბიზნეს  
ტერმინოლოგიის ფარგლებში განხორციელებული  
თარგმანის ადეკვატურობისა და კომუნიკაციური  
ღირებულების იდენტიფიცირების გზით.

ნაშრომში სინთეზირებულია კონცეპტუალური და  
სემანტიკური ანალიზის მეთოდები, რაც  
უზრუნველყოფს ინგლისურ და ქართულ ენებში  
ბიზნეს ტერმინოლოგიისათვის რელევანტური  
კონცეპტების მრავალგანზომილებიანი ბუნების  
დესკრიფციის ადეკვატურობას;

თანამედროვე ინგლისურ და ქართულ ენებში ბიზნეს ტერმინოლოგიისათვის რელევანტური ლოგიკური ქსელის კონსტრუირების პრინციპები ვალიდურია ნებისმიერი თემატური განსაზღვრულობის მქონე კონსტრუქტის ფორმირებისათვის.

### მეთოდოლოგია

კვლევის მეთოდოლოგიის საფუძველს წარმოადგენს პოლიპარადიგმულობა, რაც კონკრეტულ შემთხვევაში გულისხმობს ბიზნესის სფეროსათვის რელევანტური ლოგიკური ქსელის კონსტრუირებას როგორც ლინგვოკოგნიტურ, ისე სისტემურ-სტრუქტურულ თეორიათა ფარგლებში შემუშავებული მეთოდების სინთეზირებას. ნაშრომში გამოყენებულია ასევე ისეთი კონკრეტული მეთოდები, როგორცაა: დომენების კონსტრუირების, კატეგორიზაციის, აღწერის, ტრანსლაცია-ანალოგიზაციის, შედარების, კონტრასტირებისა და განზოგადების მეთოდები.

სადისერტაციო თემა გაშუქებულია შემდეგ

სამეცნიერო სტატიებში:

1. Akhobadze B. (2018) Technical Terminology in Translation from English into Georgian. *Bulletin of the Georgian Academy of Sciences*, 12, 4 : 144 - 147
2. Akhobadze B. (2019) Polysemy in Machine Translation Exemplified in English and Georgian. *Bulletin of the Georgian Academy of Sciences*, 13, 1 : 143 - 146

დისერტაციის მოკლე აღწერა

ნაშრომის სტრუქტურა მოიცავს შესავალს, თავებს, ქვეთავებს, დასკვნებსა და გამოყენებული ლიტერატურის სიას.

შესავალში აღწერილია ის თეორიულ-პრაქტიკული მიზეზები, რამაც კლევის დაწყება განაპირობა. დასაბუთებულია კვლევის აქტუალურობა და მეცნიერული სიახლე, თეორიული და პრაქტიკული

ღირებულება, ჩამოყალიბებულია კვლევის მიზნები და ამოცანები, განსაზღვრულია კვლევის მეთოდოლოგია.

თავი I ეთმობა ბიზნეს ტერმინოლოგიის თარგმნადობა-არათარგმნადობის პრობლემას. განხილულია ბიზნეს კომუნიკაციისა და თარგმანის წარმოშობა-განვითარების ისტორია, თარგმანის ადეკვატურობის საკითხი და ადეკვატურობისა და ეკვივალენტურობის ცნებები კომუნიკაციური ლინგვისტიკის კონტექსტში.

თავი II ეთმობა კვლევის მეთოდოლოგიას. განხილულია ბიზნეს ტერმინოლოგიის თარგმნის ლინგვისტური საფუძვლები, კომპიუტერული მთარგმნელობითი პროგრამების ლინგვისტური პრობლემები, პოლისემიური მნიშვნელობის მქონე სიტყვების, სინონიმების, ჰიპონიმების, ომონიმებისა და ჰიპერნიმების თარგმნის სირთულე, რაც კომპიუტერული მთარგმნელობითი პროგრამების ერთ-ერთი მთავარი ლინგვისტური პრობლემაა. აქვე განხილულია აგრეთვე სემანტიკური დომენები.



თავი III ეთმობა ფუძემდებლური დებულებებსა და სეგმენტაციის პრინციპებს, განხილულია სქემის სეგმენტაციის პრინციპები, ის დებულებები, რომელთა გათვალისწინებითაც განხორციელდა ბიზნესის სფეროსათვის შესაბამისი ტერმინოსისტემის ფორმირება. აღწერილია ბიზნესის სქემა თანამედროვე ინგლისურ და ქართულ ენებში და მოცემულია ბიზნეს-ტერმინოლოგიის თემატური სივრცის - „ფულის“ სეგმენტაცია.

დასკნით ნაწილში განზოგადებულია კვლევის შედეგები, რაც საშუალებას იძლევა დავასკვნათ: ქართულენოვანი ბიზნეს ტერმინოლოგიის სფეროში არსებული პრობლემა დაკავშირებულია ბიზნესის სფეროს განვითარებისა და აღნიშნული სფეროსათვის შესაბამისი ტერმინოსისტემის ჩამოყალიბების ინტენსიურობის ხარისხთა სხვაობასთან.

ბიზნესის სფეროსათვის შესაბამისი ტერმინოსისტემა ჯერჯერობით „გზაში მყოფი“ სისტემის შთაბეჭდილებას ტოვებს. ახალი რეალია თანდათანობით იძენს თავის ენობრივ გამოხატულებას ქართული ენისათვის

ორგანული ფორმით. ამ ეტაპზე კი ქართული ენა ინტენსიურად იყენებს ინგლისური ენისათვის ტიპური ენობრივი ფორმების კალკირებას.

კოგნიცია ფორმირდება, მაგრამ იმავდროულად იგი ის ძალაა, რომელსაც ფორმირება ძალუძს. ენა არა მხოლოდ ასახავს ემპირიულ მოცემულობას, არამედ ახდენს მის პროდუცირებას იმ ხარისხით, რა ხარისხისაცაა ჩვენი უნარი, შექმნას სიმბოლოები.

ანალიზმა ცხადყო, რომ ინგლისურენოვანი ტერმინის ქართულში დამკვიდრების პირველ ეტაპზე ხდება ტერმინის სემანტიზაცია. აღნიშნული პროცესი გულისხმობს ტერმინის ადაპტაციას ბიზნესის სფეროში.

ინგლისურენოვანი ტერმინის დამკვიდრების მეორე ეტაპზე ხდება ტერმინის კონვენციონალიზაცია.

აღნიშნული პროცესი გულისხმობს ტერმინის ტრანსპოზიციას ბიზნეს კომუნიკაციის სფეროდან ენის სისტემაში, სხვა სიტყვებით, ხდება ტერმინის ტრანსფორმაცია ენობრივი სისტემის ელემენტად. სამეტყველო ერთეულის ტერმინად ჩამოყალიბება

სწორედ კონვენციონალიზაციის პროცესით  
სრულდება.

ანალიზმა ცხადყო, რომ ინგლისურენოვანი ბიზნეს  
ტერმინოლოგიის ქართულად თარგმნისას  
გამოყენებულია: კოპირება, კალკირება,  
ტრანსკრიფცია/ტრანსლიტერაცია, სემანტიკური  
ეკვივალენტით/ფუნქციური ანალოგიზაცია.  
ინგლისური ბიზნეს ტერმინების ქართულ ენაზე  
ნომინაციის პროცესში იკვეთება ახალი სიტყვების  
შექმნის ძირითადი წყაროები: სემანტიკური  
დერივაცია - არსებული სიტყვისთვის ახალი  
მნიშვნელობის მინიჭება, ახალი სიტყვების წარმოება  
ახალი რეალიების აღსანიშნავად - ერთეულთა შექმნა  
ენის სიტყვაწარმოებითი საშუალებების გამოყენებით,  
ნასესხობები - ინგლისური ენიდან ნასესხები  
ტერმინების ქართულ ენაში ტრანსპოზიცია მათი  
ტრანსფორმაციის გზით.  
რეცეპტორი ენის სისტემაში ნასესხობა ექვემდებარება  
ადაპტაციას. პირდაპირი ნასესხობა ექვემდებარება

არა მხოლოდ სემანტიკურ, არამედ ფორმალურ ასიმილაციასაც.

კვლევის შედეგად დაფიქსირდა კომპრესიის ტენდენცია, რაც გამოიხატება ბიზნესის სფეროსათვის შესაბამის ტერმინოსისტემაში ფიქსირებულ აბრევიატურათა შთამბეჭდავ რაოდენობაში. კონდენსირებულ ფორმათა სიმრავლე წარმოადგენს ტერმინოსისტემის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს მახასიათებელს. კვლევა ადასტურებს, რომ ბიზნეს ტერმინოლოგიაში დამკვიდრებული აბრევიატურები წარმოადგენს მრავალკომპონენტიან შესიტყვებათა სუბსტიტუტებს. ბიზნეს კომუნიკაციის სფეროსათვის შესაბამისი ქართული ტერმინოსისტემის კიდევ ერთ მახასიათებელს წარმოადგენს ინგლისური ენიდან ნასესხები ტერმინ-მეტაფორები, რომელთა სესხებაში იკვეთება: ზოგადი გამოყენების სიტყვის ერთ-ერთი მნიშვნელობის ტრანსპოზიცია ერთი სემანტიკური ველიდან მეორეში და ზოგადი გამოყენების სიტყვის ტერმინოლოგიზაცია.

მეტაფორული ტერმინების ინგლისურიდან ქართულ ენაზე თარგმნის პროცესში გამოიყენება პირდაპირი გადატანის, ტრანსკრიფცია/ტრანსლიტერაციის და განმარტებითი თარგმანის ხერხებით. მათ შორის გამოყენების სიხშირის ყველაზე მაღალი ხარისხით ხასიათდება მეტაფორის პირდაპირი გადატანა, რომელიც ეფუძნება ფონურ ცოდნას.

ტრანსკრიფცია/ტრანსლიტერაციისა და განმარტებითი თარგმანის შემთხვევაში კი ადგილი აქვს მეტაფორული მნიშვნელობის კარგვას. შესაბამისად, აზრის გადმოსაცემად არ არის საკმარისი მხოლოდ ადეკვატური ვარიანტის შერჩევა - აუცილებელია ფონური ცოდნის, ლოგიკის, კონტექსტისა და ცნების გათვალსწინებაც. ანალიზმა გამოავლინა ნასესხები ტერმინის მნიშვნელობის შევიწროვება სემანტიკურად, რეფერენტულად, სტილისტურად, სოციალურად ან კონოტაციურად.

უეკვივალენტო ლექსიკის თარგმნისას მნიშვნელოვანია თარგმანის სიტუაციურ-

დენოტაციური მოდელის გამოყენება. უეკვივალენტო ლექსიკის თარგმნის ვარიანტის შერჩევა დეტერმინირებულია ორიგინალში აღწერილი სიტუაციით. ხშირად იკვეთება აღნიშნული სიტუაციის დამატებითი მხარეების გამოვლენის აუცილებლობა ორიგინალის ადეკვატურად გაგებისა და თარგმნისათვის.

ბიზნეს კომუნიკაციის სფეროსათვის შესაბამისი ტერმინოსისტემის ანალიზის ერთ-ერთ ოპტიმალურ გზას წარმოადგენს ტერმინოსისტემის ძირითად კონცეპტთა კოგნიტური ინტერპრეტაცია, სხვა სიტყვებით, ვერბალიზებული ცოდნის კვლევა და იმის ახსნა, თუ როგორ უკავშირდება ენა აზროვნებას - მის ცნებობრივ (კონცეპტუალურ) სტრუქტურებსა და კატეგორიებს, მის კოგნიტურ ოპერაციებს.

საკვლევი ტერმინოსისტემის სეგმენტაციისათვის ფუძემდებლურია დომენის ფენომენი, რომელიც მოიცავს მენტალურ გამოცდილებას, რეპრეზენტაციულ სივრცეებსა და კონცეპტუალურ კომპლექსებს.

ადამიანის მენტალური გამოცდილების დაუსრულებელი განვითარების წყალობით, ბიზნესის თემატური სივრცე წარმოადგენს დომენების ღია სტრუქტურას, რომელშიც ჩნდება მოცულობითა და სირთულით განსხვავებული კონცეპტუალური იერარქიები. სხვადასხვა დონის დომენები ქმნიან ბიზნესის კონცეპტუალურ სფეროს - მთლიან ცნებობრივ სივრცეს. კონცეპტუალურ სფეროში ცნებობრივი სივრცეების მეშვეობით მიმდინარეობს „ინფორმაციის გრანულაცია“.

ნაშრომში ბიზნესის სფეროსათვის რელევანტური ტერმინოსისტემის სეგმენტაციისათვის გამოყენებულია კლასტერული ანალიზი, რომელიც გულისხმობს ყველა რელევანტური ელემენტის კლასტერულ „ხეში“ ჩართვას. სისტემის იერარქიული კლასტერიზაციის შედეგად აიგო ”ცოდნის პირამიდა“, რომლის სპეციფიკაც განპირობებულია ადამიანის მეხსიერებაში ცნებებს შორის სხვადასხვა ტიპის მიმართებათა არსებობით.

ბიზნესის სფეროში გამოიყო შემდეგი თემატური განზომილებები: “Accounting”, “Banking”, “Logistics”, “Marketing”, “Branding”, “Tax”, “Money”, “Industrial Sociology”, “Industrial Agreements”, “Labor Relations”, “Employee Relations”, “Enterprise Resource Planning”. ფულის თემატურ განზომილებაში გამოიკვეთა შემდეგი ზონები: “Synonyms“, “Slang“, “Amount“, “Time Value“.

თითოეული განზომილება ლექსიკალიზდება ნომინაციური ველების მეშვეობით.

სისტემის იერარქიული კლასტერიზაცია იძლევა ცოდნის თითოეული ასპექტის დეტალური განხილვის შესაძლებლობას. თითოეული ასპექტი გააზრებულია როგორც მთლიანის კონკრეტული პროექცია.

ბიზნესის სფეროსათვის რელევანტური ”ცოდნის პირამიდა“ წარმოადგენს სიღრმისეულ კავშირთა, მიმართებათა და კანონთა ერთობლიობას, რომელიც განსაზღვრავს საკვლევი ფენომენის ძირითად მახასიათებლებსა და განვითარების ტენდენციებს.



პუბლიკაციები:

გამოყენებული ლიტერატურა:

ახალი აღთქმა (1992). [New Testament] სტოკჰოლმი: ბიბლიის თარგმნის ინსტიტუტი.

ბლანშარი ო. (2010). მაკროეკონომიკა [Macroeconomics]. (მთარგმნ. ნ. ხადური, მ. ჩიქოზავა, ნ. კაკულია), თბილისი: თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი.

- ბლანშო მ. (2002). თარგმანის შესახებ. (მთარგმნ. მ. ხარბედია) [About Translation] Tbilisi: Arili.
- გაჩეილაძე გ. (1958). *მხატვრული თარგმანის თეორიის საკითხები* [Some Problems of Literary Translation], თბილისი: საბჭოთა საქართველო.
- გუგუშვილი პ. (1952) ეკონომიკური ტერმინოლოგიისა და მეცნიერული თარგმანისათვის. [On Economic Terminology and Scientific Translation] თბილისი: მეცნიერება.
- სმითი ა. (1938). გამოკვლევა ხალხთა სიმდიდრის ზუნებისა და მიზეზების შესახებ (მთარგმნ. ფ. გოგიჩაიშვილი). [An Inquiry into the Nature and Causes of the Wealth of Nations]. თბილისი: სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა.
- კეკელიძე კ. (1951). *ლიტერატურული ძიებანი* [Literary Explorations], ტ. VII, თბილისი: საქართველოს მეცნიერებათა აკადემია.
- კეკელიძე კ. (1981). *ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია* [History of Old Georgian Literature] ტ. I, თბილისი: საქართველოს მეცნიერებათა აკადემია
- მენქიუ გ. (2008) ეკონომიკის პრინციპები, (მთარგმ. ა. ახვლედიანი, ნ. მანჩხიშვილი და სხვ.) [Principle of Economics]. თბილისი: დიოგენე.
- მცხეთური ხელნაწერი (1981). [Manuscript from Mtsxet'a], თბილისი: მეცნიერება
- ორბელიანი, ს. (1928). ქართული ლექსიკონი [Georgian Dictionary], თბილისი: გამომცემლობა ქართული წიგნი.
- პასი, ო. (2002). თარგმანი: ლიტერატურა და წერილები (მთარგმნ. ლ. მჭედლიშვილი) (Translation: Literature and Letters). თბილისი: არილი.

- სოსიური, ფ. (2002). ზოგადი ენათმეცნიერების კურსი (მთარგმნ. ც. ბიბილეიშვილი). [Course in General Linguistics]. თბილისი: დიოგენე.
- საყვარელიძე, ნ. (2001). თარგმანის თეორიის საკითხები. [The Questions of the Theory of Translation]. თბილისი: თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა.
- Гумбольдт, В. (1984). Izbrannye trudy po yazikoznanyu. (G. Ramishvili, Trans.) [Selected Works in Linguistics]. Moscow: Progress.
- Alvarez, R. & Vidal, M. Carmen-Africa (eds.) (1996). Translation, Power, Subversion. Clevedon: Multilingual Matters.
- Arrowsmith, W. & Shattuck R. (eds.) (1961). The craft and context of translation, Austin: U Texas Press.
- Auroux, S., Koerner K., Niederehe H., Versteegh K (2001). History of language science. Volume 2. Berlin, New York: Walter de Gruyter.
- Bachman L. F. (1990). Fundamental considerations in language testing. Oxford: Oxford University Press.
- Baker, M. (1992): In other words: A coursebook on translation. London/ New York: Routledge.
- Bagaric, V. & Djigunovic, J. M. (2007). Defining communicative competence. Metodika 8(1). 103
- Bassnet, S. & Lefevere A. (eds.) (1990): Translation, history, and culture, London: Pinter Publishers.
- Bassnett-McGuire, S. (1980): Translation studies, London: Methuen.
- Bell, Roger T. (1991). Translation and translating: theory and practice, London: Longman.

- Bell, A. & Russel, C. (2000). Beyond human, beyond words: anthropocentrism, critical pedagogy, and the poststructuralist turn. *Canadian Journal of Education*, 25 (3), 188–203.
- Bermann, S.& Porter, C. (eds). 2014. *A companion to translation studies*. Malden/Oxford: Wiley Blackwell. Oxford: Oxford University Press.
- Bialystok E. (1990). *Communication strategies: A psychological analysis of second-language use*. Oxford: Blackwell.
- Biguenet, J. & Rainer S. (eds.) (1989): *The craft of translation*. Chicago: University of Chicago Press.
- Blokh M. (1983). *A course in theoretical English grammar*. Moscow: Vyshaia Shkola.
- Bloomfield, L. (1973). *Language*. London: George Allen & Unwin Ltd.
- Bongaerts, T., Poulisse, N. (1989). Communication strategies in L1 and L2: Same or Different? *Applied Linguistics* 10(3), 235.
- Canale, M. & Swain, M. (1980). Theoretical Bases of Communicative Approaches to Second Language Teaching and Testing. *Applied Linguistics* 1(1), 216-223
- Canale, M. (198). From communicative competence to communicative language pedagogy. In: Richards, J. C. & Schmidt, R. W. (eds) *Language and communication*. New-York: Longman Group Limited, 3. 78-93
- Catford, J. C. (1965). *A linguistic theory of translation: An essay in applied linguistics*. Oxford: Oxford University Press.
- Catford, C. J. (1965). *A linguistic theory of translation*. Oxford: Oxford university Press.
- Chesterman, A. (1989). *Readings in translation theory*, Helsinki: Finn Lectura.

- Chomsky, N. (1965). Aspects of the theory of syntax. Cambridge, Massachusetts: The M. I. T. Press.
- Corder, S. P. (1983). Strategies of communication in Faerch, C. & Kasper, G. (eds.): Strategies in Interlanguage communication. New-York: Longman Group Limited.
- Cruse, D. A. Some Thoughts on agentivity (1973). Journal of Linguistics 9, 107-123
- Davidson D. (2001) Inquiries into truth and interpretation. (2nd ed.). Oxford: Clarendon Press.
- Derrida J. (1998). Monolingualism of the other: or, The prosthesis of origin. (Mensab, Transl.). Stanford: Stanford University Press (Original work published 1996).
- Ervin-Tripp, S. M. (1972). Children's sociolinguistic competence and dialect diversity. In Gordon, I. U. (Ed.), Early childhood education: The seventy-first yearbook of the National Society for the Study of Education. Chicago: University of Chicago Press. 2. 123-156
- Fellbaum, C. (1998). WordNet. An Electronic Lexical Database. Cambridge, Mass.: MIT Press.
- Fillmore, Ch. (1982). Frame semantics. In Linguists in the morning calm. (Edited by the Linguistic Society of Korea). Seoul, Korea: Hanshin Publishing Company
- Firth, J. R. (1969). Language and style. In Readings in modern English lexicology. Leningrad: Prosveshenye.
- Frawley, W., Lantolf, J., P. (1985). Second language discourse: A vigotskian perspective. Applied Linguistics, 611, 114-118
- Frawley, W. (1984). Translation: literary, linguistic, and philosophical perspectives. Newark [Del.]/London: University of Delaware Press. 67-78

- Geeraerts D. (2002). The theoretical and descriptive development of lexical semantics. In L. Behrens&D. Zaefferer [Eds.]. The Lexicon in focus. Competition and Convergence in Current Lexicology (23-42). Frankfurt: Peter Lang Verlag]
- Geeraerts, D. (1988a). Cognitive grammar and the history of lexical semantics. In B. Rudzka-Ostyn (ed.), Topics in Cognitive Linguistics. Amsterdam: John Benjamins Publishing Company.
- Gentzler, E. C. (1993): Contemporary translation theories. London: Routledge.
- Gile, D. (2001). Critical reading in (interpretation) research. In D. Gile, et al (Eds). Getting started in interpreting research. Amsterdam: John Benjamins Publishing Company.
- Glahn, E. (1980). Introspection as a method of elicitation in interlanguage studies. Interlanguage Studies Bulletin, Utrecht, 5 (1), 56-74.
- Gliozzo, A., Strapparava, C. (2009). Semantic domains in computational linguistics. Berlin heidelberg: Springer.
- Gorlée, D. L. (1994). Semiotics and the problem of translation. Amsterdam: University of Amsterdam.
- Habermas, J. (1970). Toward a theory of communicative competence. In Dreizel H. P. (ed.): Recent Sociology. New York: Macmillan.
- Halverson, S. (1997). The concept of equivalence in translation studies. In: Target, (9) 2. 207-234
- Hardwick, Lorna (2000): Translating Words, Translating Cultures, London: Duckworth. 78-73
- Hatim, B. & Mason, I. (1990). Discourse and the translator. London: Longman.
- Hatim, B. & Mason, I. (1997). The Translator as communicator. London: Routledge.
- Hatim, B. (1997/2000). Communication across cultures. Translation theory and contrastive text linguistics. Exeter: University of Exeter Press.

- Hatim, B.(2001). Teaching and researching translation. Harlow: Longman.
- Hermans, T. (1999). Translation in systems. Descriptive and system-oriented approaches explained. Manchester: St Jerome Publishing.
- Humboldt, W. (1816). Einleitung zur Agamemnon. Retrieved March 2, 2016, from [http://courses.logos.it/EN/3\\_15.htm](http://courses.logos.it/EN/3_15.htm)
- Hymes, D. H. (1974). Foundations in sociolinguistics. An ethnographic approach. Philadelphia: University of Pennsylvania Press,
- Hymes, D. H. (1971). On communicative Competence. In: J. B. Pride & J. Holmes (eds.) Sociolinguistics. Selected Readings. Harmondsworth: Penguin Education.
- Jakobson, R. (1959/1966). On Linguistic Aspects of Translation. In R. Brower (Ed.). On Translation (pp. 82-97). New York: OUP.
- James, E. (ed.) (1969). Monograph Series on Language and Linguistics. Washintod D. C.: GURT
- Joseph, J. (1997). Why isn't translation impossible? In: Language at work. British studies in applied linguistics. <https://books.google.ge/books?isbn=185359427X> retrieved
- Katz, J.J. & Fodor, J.A. (1963) The structure of a semantic theory. Language 39, 170-210
- Khanji, R. (1996). Two perspectives in analysing communication strategies. International Review of Applied Linguistics (IRAL) XXXIV/2, 152-154
- Kratz D. (1986). An interview with Norman Shapiro. Translation Review, 19, 1, Published online 21 Aug. 2012. Retrieved April 17, 2019 from <http://www.tandfonline.com/doi/abs/10.1080/07374836.1986.10523366>



- Levy, J. (1967). Translation as a decision process. In To honor Roman Jakobson, 3 vols, The Hague: Mouton. 226-238
- Lyons, J. (1981). Language, meaning and context. London: Fontana.
- Lyons, J. (1977). Semantics. Cambridge: Cambridge University Press.
- Lyons, J. (1963). Structural Semantics. Oxford: Blackwell
- Mellinger, C. D. & Hanson, T. A. (2017). Quantitative research methods in translation and interpreting studies. London and New York: Routledge.
- Miller, G., Beckwith, R., Fellbaum, C., Gross, D., Miller, K. (1993). Introduction to WordNet: An On-line Lexical Database.
- Minsky M. (1997). A Framework for Representing Knowledge. In J. Haugeland (Ed). Mind Design II. Philosophy Psychology Artificial Intelligence. (2nd ed.). Cambridge, Massachusetts, London, England: MIT-Press.
- Munday, J. (2001). Introducing translation studies. theories and applications. London: Routledge.
- Muscard, J. (1996). Relevant translations: history, presentation, criticism, application, Frankfurt am Main: Peter Lang.
- Newmark, P. (1988). A textbook of translation. New York/London: Prentice Hall.
- Nida, E. (1964). Toward a science of translating. Leiden: E. J. Brill.
- Nida, E. A. & Taber C. R. (1969). The theory and practice of translation. Leiden: E. J. Brill.
- Nord, C. (1997). Translating as a purposeful activity: Functionalist approaches explained. Manchester: St. Jerome Press.
- Paribakht, T. (1985). Strategic competence and language proficiency? Applied Linguistics 6(2), 143

- Pöchhacker, F. (2004). *Introducing Interpreting Studies*. London/New York: Routledge. 24-38
- Postgate, J. P. (1922). *Translation and translations : theory and practice*, London : G. Bell and sons Ltd.
- Pym, A. (1992). *Translation and Text Transfer: An essay on the principles of intercultural communication*. Frankfurt am Main: Peter Lang.
- Pym, A. (2014). *Exploring translation theories*. Second edition. London/New York: Routledge.
- Quine, W. (2004). *Meaning and translation*. In L. Venuti (Ed.). *The translation studies reader*. London & New York: Taylor & Francis Group.
- Quine, W. (1960). *Word and object*. Cambridge, Massachusetts: MIT Press.
- Richardson, M. (1980) *The Journal of Business Communication*. 17(3), p. 19-31
- Robinson, D. (2003). *Becoming a translator: an introduction to the theory and practice of translation*, London: Routledge.
- Rosch, E. (1978). *Principles of Categorization*. Berkeley: University of California.
- Saldanha, G. & O'Brien, Sh. (2013). *Research methodologies in translation studies*. Manchester: St Jerome.
- Sapir, E. (1929). *The status of linguistics*. *Language*, Vol. 5. No 4, 207-214.
- Savignon, S. J. (1972). *Communicative competence: An experiment in Foreign Language Teaching*. Philadelphia: Center for Curriculum Development, 116-132.
- Savignon, S. J. (1972). *Communicative Competence: An Experiment in Foreign Language Teaching*. Philadelphia: Center for Curriculum Development, 28-31.
- Schiffrin D. (1994). *Approaches to discourse*. Oxford: Blackwell.

- Snell-Hornby, M. (1995). *Translation Studies. An Integrated Approach*. Amsterdam: John Benjamins.
- Snell-Hornby, M. (1994). *Translation Studies: An Interdiscipline*. Amsterdam: John Benjamins.
- Sperber, D., Willson D. (1995). *Relevance: Communication and cognition*. (2nd ed.). Oxford & Cambridge: Blackwell.
- Sperber, D., Willson, D. (1995). *Relevance: Communication and Cognition*. (2nd ed.). Oxford: Cambridge, MA.
- Steiner, G. (1992). *After Babel: Aspects of Language and Translation*. (2nd ed.). Oxford University Press.
- Stern, H. H. (1986). *Fundamental Concepts of Language Teaching*. Oxford: Oxford University Press.
- Strawson, P. F.(1991). *Intention and Convention in Speech Acts*. In *Pragmatics: A Reader*. Oxford: Oxford University Press.
- Tarone, E., Cohen, A. D. & Dumas, G. A. (1983). Closer look at some interlanguage terminology: a framework for communicative strategies. In C. Faerch & G. Kasper (Eds.). (pp. , 35-48). *Strategies in interlanguage communication*. New-York: Longman Group Limited.
- Tarone, E., Yule G. (1989). *Focus on the Language Learner*. Oxford: Oxford University Press,
- Taylor, J. R. (2008). Prototypes in cognitive linguistics. In P. Robinson & N. Ellis (Eds.), *Handbook of Cognitive Linguistics and Second Language Acquisition*, 39-65. London: Routledge.
- Thomas, J. (199). *Business Writing in History: What Caused the Dictamen's Demise*. *The Journal of Business Communication*, 36 (1).
- Toury, G. 2012. *Descriptive Translation Studies and Beyond*. (Revised ed.). Amsterdam/Philadelphia: John Benjamins.

- Toury, G. (1980). In search of a theory of translation, Tel Aviv: Porter Institute.
- Troike, R. (1969). Receptive competence, productive competence and performance. In E. James (Ed.). (62-68). Monograph Series on Language and Linguistics.
- Venuti, L. (1995). The Translator's Invisibility. A History of Translation. London & New York: Routledge.
- Ulmann, S. (1969). Language and style. In S. Khidekel, R. Ginzburg, G. Kniazeva, A. Sankin (Eds.) Readings in modern English lexicology. Leningrad: Prosveshenye.
- Weedon, C. (1987). Feminist practice and poststructuralist theory. London: Blackwell
- Widdowson, H. G. (1984). Exploration in Applied Linguistics 2. Oxford: Oxford University Press.
- Widdowson, H. G. (1983). Learning purpose and language use. Oxford: Oxford University Press.
- Wills, W. (1996). Knowledge and skills in translation behavior. Amsterdam: John Benjamins.